REPRESENTATIONS OF THE KARTVELIAN PEOPLES AS THE "OTHER" BY GREEK GEOGRAPHERS: PSEUDO-SCYLAX OF CARYANDA, PSEUDO-SCYMNOS OF CHIOS, AND DIONYSIUS PERIEGETES

ქართველური ეთნოსები, როგორც „სხვა" ბერძენი გეოგრაფების – ფსევდო-სკილაქს კარიანდელის, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელისა და დიონისიოს პერიეგეტესის რეპრეზენტაციებში

KETEVAN NADAREISHVILI
Doctor of Philological Sciences, Associate Professor of Tbilisi State University
Tbilisi, Il. Chavcahavdze av. 1, Georgia
+995599220191; ketevan.nadareishvili@tsu.ge
https://orcid.org/0000-0002-9598-8298

Abstract

Following the Classical epoch, interest in the Caucasus in general and in the Kartvelian peoples in particular increased during the Hellenistic and subsequent periods. Together with the broadening of geographical knowledge and the development of new geographical genres — the periplus and the periegesis — a more or less adequate understanding of the Caucasian region and its inhabitants begins to take shape. At the same time, contemporary scholarship considers that narratives of foreign peoples present, more than an accurate picture of reality, the literary representation of the author. Xenostereotypes of the "Other (other peoples)" marked by varying degrees of subjectivity occupy a significant place in these representations. In many cases, these representations reflect the geopolitical and cultural context of the author's own era as well as the writer's ideological orientation.

The present paper aims to examine the representations of Kartvelian peoples in the works of three Greek authors: Pseudo-Scylax of Caryanda (4th century BCE), Pseudo-Scymnus of Chios (2nd–1st centuries BCE), and Dionysius Periegetes (2nd century CE). Beyond the significant information these authors provide concerning the geography of Georgia, our selection was motivated by the fact that the aforementioned writers are representatives of the popular geographical genres of their time — the periplus and the periegesis — and it is therefore of particular interest to examine how they develop the discourses that existed in antiquity regarding the Kartvelian peoples as the "Other," and what new narratives they introduce in this regard.

The study of the aforementioned authors' representations of the Kartvelian peoples has demonstrated that, as in the case of other foreign peoples, the geographers were engaged with the following discourses: (a) elucidating the origins of Kartvelian toponymy and linking it to mythological realities; (b) establishing the genesis of the Kartvelian peoples and their connections to other regions and peoples; (c) presenting the so-called eponymous heroes associated with the Kartvelian world. Pseudo-Scylax of Caryanda, Pseudo-Scymnus of Chios, and Dionysius Periegetes engage comparatively less with aspects of the cultural identity of the Kartvelian peoples: *diaita* (material culture), *ēthea* (ethnic characteristics), and *nomoi* (customs and laws). Furthermore, all of the above-listed discourses appear in these authors with varying degrees of scope and emphasis.

The linking, in these authors' works, of the genesis of the Kartvelian peoples and Kartvelian toponymy to Hellenic mythology, most notably the Argonaut cycle, as well as the narrative tracing the origins of the Kartvelian peoples to various regions of Europe, demonstrates, in our view, the extent to which the Kartvelian milieu was closely associated, in the consciousness of the aforementioned geographers, with Hellenic civilization.

The results of this research will be of considerable significance for the study of the cultural identity of the Kartvelian peoples, as the "Other", in antique representations. At the same time, they may make a meaningful contribution to the Europe/Asia opposition discourse, specifically with regard to the relationship of these peoples to Hellenic, that is to say European, civilization.

Key words: ancient geography; representation of the “Other”; Georgian peoples; Pseudo-Scylax of Caryanda; Pseudo-Scymnos of Chios; Dionysius Periegetes; Georgian peoples; ethnogenesis.

ქეთევან ნადარეიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თბილისი, ილ. ჭავჭავაძს გამზ., 1, საქართველო
+995599220191; ketevan.nadareishvili@tsu.ge
https://orcid.org/0000-0002-9598-8298

აბსტრაქტი

კლასიკური ეპოქის შემდგომ, ელინისტურ და მომდევნო პერიოდებში იზრდება ინტერესი ზოგადად, კავკასიის და კერძოდ, ქართველური ეთნოსების მიმართ. გეოგრაფიული ცოდნის მასშტაბის გაფართოების, გეოგრაფიის ახალი ჟანრების – პერიპლუსისა და პერიეგეზის განვითარების კვალდაკვალ იქმნება მეტ-ნაკლებად ადეკვატური ცოდნა კავკასიის რეგიონისა და მის მაცხოვრებელთა შესახებ. ამასთან, მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე თვლიან, რომ ზოგადად, ნარატივები უცხო ხალხთა შესახებ რეალურ სურათზე მეტად მწერლისეულ რეპრეზენტაციას წარმოგვიდგენს. ამ რეპრეზენტაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე.წ. „სხვის (სხვა ხალხების)“ ქსენოსტერეოტიპებს მათთვის ნიშანდობლივი სუბიექტურობის სხვადასხვა ხარისხით, რაშიც არცთუ იშვიათად ავტორის თანამედროვე გეოპოლიტიკური და კულტურული კონტექსტი თუ მწერლის იდეოლოგიური მიზანდასახულობა თამაშობს საყურადღებო როლს.

ჩვენი სტატია მიზნად ისახავს, შეისწავლოს ქართველური ეთნოსების შესახებ სამი ბერძენი ავტორის – ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ. IV ს.), ფსევდო-სკიმნოს ქიოსელის (ძვ.წ. II-I სს.) და დიონისიოს პერიეგეტესის (ახ.წ. II ს.) რეპრეზენტაციები. საქართველოს გეოგრაფიის შესახებ ამ ავტორთა საყურადღებო ცნობების გარდა, ჩვენი არჩევანი განაპირობა იმან, რომ დასახელებული მწერლები იმდროინდელი გეოგრაფიის პოპულარული ჟანრების – პერიპლუსისა და პერიეგეზისის წარმომადგენლები არიან, შესაბამისად, საინტერესოა, თუ როგორ ავითარებენ ისინი ქართველურ ეთნოსთა, როგორც ე.წ. „სხვის“, შესახებ ანტიკურობაში უკვე არსებულ დისკურსებს და რა ახალი ნარატივები შემოაქვთ მათ ამ კუთხით.

დასახელებულ ავტორთა ქართველური ეთნოსების რეპრეზენტაციათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ ხალხების წარმოდგენისას, ისევე როგორც სხვა უცხოელ ეთნოსთა შემთხვევაში, გეოგრაფებს აინტერესებდათ შემდეგი დისკურსები: ა) ქართველურ სამყაროს ტოპონიმიკის წარმომავლობის გარკვევა/დაკავშირება მითოსურ რეალიებთან; ბ) ქართველური ხალხების გენეზისის და სხვა რეგიონებთან თუ ხალხებთან მათი კავშირის დადგენა; გ) ქართველურ სამყაროსთან მიმართებაში მყოფი ე.წ. ეპონიმი გმირების წარმოდგენა. შედარებით ნაკლებად ეხებიან ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელი და დიონისიოს პერიეგეტესი ქართველურ ხალხთა კულტურული იდენტობის ასპექტებს: *diaita*-ს (მატერიალური კულტურა), *ethea*-ს (ეთნიკური მახასიათებლები) და *nomoi*-ს (ადათ-წესები, კანონები). ამასთან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დისკურსი ამ ავტორებთან სხვადასხვა მასშტაბით თუ განსხვავებული აქცენტირებით არის მოცემული.

ამ ავტორთა ნაწარმოებებში ქართველური ეთნოსების გენეზისისა თუ ქართველური ტოპონიმიკის ელინურ მითოსთან, განსაკუთრებით კი არგონავტების ციკლთან დაკავშირება, ისევე როგორც ქართველური ეთნოსების ევროპის სხვადასხვა რეგიონიდან მომდინარეობის ნარატივი, ჩვენი აზრით, ცხადყოფს, თუ რამდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასახელებულ გეოგრაფთა ცნობიერებაში ქართველური სამყარო ელინურ ცივილიზაციასთან.

კვლევის შედეგები საყურადღებო იქნება ანტიკურ რეპრეცენტაციებში წარმოდგენილი ქართველური ეთნოსების, როგორც „სხვის“, კულტურული იდენტობის შესწავლის თვალსაზრისით. ამავე დროს, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ევროპა/აზიის ოპოზიციის დისკურსში ამ ეთნოსთა ელინურ, ანუ ევროპულ ცივილიზაციასთან მიმართების შესწავლის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური გეოგრაფია; ე.წ. „სხვის“ რეპრეზენტაცია; ქართველური ეთნოსები; ფსევდო-სკილაქს კარიანდელი; ფსევდო-სკიმნოს ქიოსელი; დიონისიოს პერიეგეტესი; ეთნოგენეზი.

შესავალი: ქართველური ეთნოსების ისტორიული ფესვების კვლევისას უაღრესად მნიშვნელოვან მასალას ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები გვაძლევენ. ბერძენ და რომაელ მწერალთა ცნობების, ქართულ-ბერძნულ-რომაული მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების კვლევას სხვადასხვა ჭრილში – არქეოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი, ეპიგრაფიკული, ხელოვნების ისტორიის და ა.შ. – დიდი ტრადიცია აქვს (აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს: ურუშაძე, ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბილისი, 1964; თ. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული მრავალტომეული სახელწოდებით ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I-VI, თბილისი, 1967-1987; ყაუხჩიშვილი, თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976; ლორთქიფანიძე, ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1986; ლორთქიფანიძე, ო., ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის *გეოგრაფიაში,* თბილისი, 2010; გორდეზიანი, რ., *ილიადა* და ეგეიდის უძველესი მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი, 1960; გორდეზიანი, რ., მედიტერანულ-ქართველური მიმართებანი, ტ. I-IV, თბილისი, 2007-8; ენციკლოპედია *Caucasus Antiquus*, ტ. I-V, მთავარი რედაქტორი რ. გორდეზიანი, თბილისი, 2010-2023). თუმცა მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე, კერძოდ, XX ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ერთი ეთნოსის მიერ სხვა, უცხო ხალხის შესახებ მოცემული ინფორმაციის

შესწავლა ახლებური მიდგომით იწარმოება. გაცნობიერებულ იქნა, რომ ანტიკური ავტორების ნარატივები ე.წ. „სხვის“ შესახებ ხშირად არა რეალურ სურათს, არამედ მწერლისეულ რეპრეზენტაციას წარმოადგენს, რომელშიც არსებით როლს სხვადასხვა ფაქტორი თამაშობს. ეს ფაქტორები გახლავთ: კონკრეტული ავტორის მსოფლხედვა და იდეოლოგიური მიზანმიმართულობა, მისი ეპოქის გეოპოლიტიკური, თუ კულტურული კონტექსტი, ის, თუ ე.წ. „სხვის“ აღქმის რომელ მოდელს ანიჭებდა ესა თუ ის მწერალი უპირატესობას. ე.წ. „სხვის (სხვა ხალხების)“ შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეძღვნება. განსაკუთრებით საყურადღებოა – Burkert, W. et al., Hérodote et les peuples non grecs: neuf exposés suivis de discussions, Vandoeuvres-Genève: Fondation Hardt, 1990; Hartog F., The Mirror of Herodotus, University of California Press 2009; Coleman, J. and Walz, C. (eds.) Greeks and Barbarians: Essays on the Interaction between Greeks and Non-Greeks in Antiquity and the Consequences for Eurocentrism, Bethesda MD, 1997; Greeks and Barbarians, (ed. Th. Harrison), Routledge, 2002; Gruen, E., Rethinking the Other in Antiquity. Martin Classical Lectures, Princeton University Press, 2011.

შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ქართველური ეთნოსები სწორედ ამ ახალი მიდგომებით, მეცნიერების ახალი დარგის – იმაგოლოგიის ჭრილში იქნეს განხილული. ჩვენ ქართველთა ეთნოსები, როგორც „სხვა“, ბერძენ და რომაელ მწერლებთან რამდენიმე სტატიაში შევისწავლეთ (ნადარეიშვილი, 2019; ნადარეიშვილი, 2023). წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს სამი ბერძენი გეოგრაფის – ფსევდო-სკილაქს კარიანდელის, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელისა და დიონისიოს პერიეგეტესის – თხზულებებსა და კომენტარებში სწორედ იმაგოლოგიის პერსპექტივიდან გამოვიკვლიოთ ქართველური ეთნოსების, როგორც „სხვის“ რეპრეზენტირება. ამასთან, საყურადღებოდ მიგვაჩნია ამ მწერალთა ნაშრომების კვლევის თანამედროვე მდგომარეობის წარმოდგენაც – იქნება ეს მოსაზრებები მათი ჟანრული სპეციფიკისა და თუ მწერლის მეთოდოლოგიის შესახებ. ყოველივე ეს ე.წ. „სხვის“ შესწავლის იმაგოლოგიურ კონტექსტთან ერთად შექმნის მეტ-ნაკლებად სრულ სურათს, თუ როგორ ახდენდნენ ბერძნული გეოგრაფიის ეს ნარატივები განსხვავებულ ეპოქებში ქართველური ეთნოსების, როგორც „სხვის“ წარმოდგენას.

კვლევის მეთოდები: კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მეთოდოლოგიას. მოიცავს ფილოლოგიურ ანალიზს, რაც ძველი ბერძნული ტექსტების შესწავლას გულისხმობს. კვლევაში ასევე გამოყენებულ იქნა ჰერმენევტიკული მეთოდი – გაანალიზდა ფსევდო-სკილაქს კარიანდელის, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელის და დიონისიოს პერიეგეტესის ნაწარმოებთა უმთავრესი მახასიათებლები მათი შესწავლის თანამედროვე კონტექსტში, კერძოდ, მათი რეპრეზენტირების სპეციფიკა, იდეოლოგიური მიზანდასახულობა, აღწერის მათთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგია და გეოგრაფიული ხედვები. კვლევაში ფართოდაა წარმოდგენილი კომპარატივისტული მეთოდი: შესწავლილ იქნა დასახელებული გეოგრაფების თხზულებებში ქართველური ეთნოსების რეპრეზენტაციები. ისინი შედარდა ამ ეთნოსების შესახებ სხვა ბერძენ ავტორთა ნარატივებს. აღნიშნული მეთოდოლოგია მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, დასახელებული მწერლების თხზულებებში ქართველური ეთნოსების რეპრეზენტირების თაობაზე შესაძლო ახალი დისკურსების გამოვლენას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ავტორთა მიერ ქართველური ხალხების წარმოდგენის სპეციფიკური მახასიათებლების დადგენას.

შედეგები და მსჯელობა: ქართველურ სივრცესთან ბერძენთა ურთიერთობის პირველ ეტაპზე ქართული სამყაროს რეპრეზენტირების შესახებ ძირითად მასალას არგონავტებისა და

პრომეთევსის მითოსი იძლევა, რომელთა ინტერპრეტაციებიც მრავლად გვხვდება ადრეულ ბერძნულ ტექსტებში[1]. შემდგომ ხანებში მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ჩნდება ბერძნული ისტორიოგრაფია – თავდაპირველად ასპარეზზე გამოდიან ლოგოგრაფოსები, შემდეგ კი მოდიან ახალი თაობის ისტორიკოსები – უპირველესად ჰეროდოტოსი. ამის შედეგად ზოგადად „სხვის (სხვა ხალხების“ და კონკრეტულად ქართველური ეთნოსების რეპრეზენტირებისას ახალი თემები, ახალი დისკურსები წარმოიქმნება. ა.მ. ქართველურ ეთნოსებთან დაკავშირებით ისტორიკოსისთვის საინტერესო ჩანს მათი გეოპოლიტიკური ორიენტაცია, მათი ადგილი და ფუნქცია კავკასიის რეგიონის მაცხოვრებლებთა შორის, რაც შემდეგ პერიოდებში ქართველურ სამყაროსთან მიმართებით ცენტრალურ დისკურსად იქცევა.

ქართველურ ხალხებთან დაკავშირებით ჰეროდოტოსი ავითარებს მეორე დისკურსსაც – მათი ეთნოგენეზისა თუ სხვა ეთნოსებთან მათი ნათესაობის ნარატივს, რომელიც ისტორიკოსთან კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის თეზით არის წარმოდგენილი. ამასთან ჰეროდოტოსს განსაკუთრებით აინტერესებდა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების წესი, ანუ ის, რასაც დღეს ჩვენ კულტურას ვუწოდებთ. რეტფილდის მიხედვით, კულტურის კონცეპტის წარმოსადგენად მწერალი სამ ცნებას – diaita, ethea და nomoi-ს იყენებდა. diaita – მატერიალური კულტურა მოიცავს ადამიანების საცხოვრისს, საარსებო საშუალებებს, მათი კვების რაციონს, იმას, რასაც ადამიანები მოიხმარენ; ethea, გაცილებით უფრო სუბიექტური კატეგორია, კულტურის პიროვნებასთან მიმართებას წარმოგვიდგენს. ethea-ს მიხედვით არიან ხალხები ველურნი თუ ცივილიზებულნი, სასტიკი/მკაცრი, მეომარი ბუნების თუ ვაჭრობისკენ მიდრეკილნი და ა.შ. რაც შეეხება nomoi-ს, ეს გახლავთ კანონები, ადათ-წესები, ქცევის ნორმები. nomoi-ს ქონა ამა თუ იმ ეთნოსის ცივილიზებულობის ერთგვარი ნიშანია. ყველა ხალხს აქვს ethea, მაგრამ ველურ ხალხებს არა აქვთ nomoi, გვატყობინებს ჰეროდოტოსი (Hdt. IV, 106)[2].

დროთა ცვლილების კვალდაკვალ მნიშვნელოვნად იცვლებოდა უცხო ხალხთა ბერძნული და რომაული რეპრეზენტაციები. შეიძლება ითქვას, რომ უცხოელთა ბერძნული/რომაული წარმოსახვები გარკვეულწილად პასუხობდა მოვლენათა განვითარების ისტორიას, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოძახილი არავითარ შემთხვევაში პირდაპირი თუ მარტივი არ გახლდათ. ზოგი ავტორი ამა თუ იმ ეთნოსის დასახასიათებლად გარკვეულწილად იმეორებდა ამ ხალხის შესახებ დამკვიდრებულ სტერეოტიპებს – topoi-ს. სხვა ცდილობდა უცხო ეთნოსების შეძლებისდაგვარად ობიექტურად რეპრეზენტირებას. იყვნენ ისეთები, ვინც სხვა ხალხების წარმოსახვისთვის რამდენიმე მოდელს იყენებდა. ზოგი ერთსა და იმავე დროს ცდილობდა ე.წ. „სხვის“ თავისებურ იდეალიზებას და ამასთან მის წარმოჩენას ბერძნულ/რომაული მოდელისგან დაშორებულად, ან პირიქით, მასთან მისადაგებულად (Nippel, 2002: 278; 297).

---

[1] ეს მითოსური ციკლები ქართული მასალის შესწავლის კუთხით არაერთი ქართველი მეცნიერის კვლევის საგანი გახლდათ. გამოვყოფთ მათ შორის რ. გორდეზიანის ნაშრომს, Gordeziani, R. 2010, რომელშიც მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ამ ციკლებთან დაკავშირებული მითოლოგიური პერსონაჟების სპეციფიკურ ფუნქციაზე, რომელიც ევროპასა და აზიას შორის მედიატორის როლის შესრულებაში გამოიხატება.

[2] Redfield, 2002: 25-26. ქართველურ ეთნოსებთან დაკავშირებით ჰეროდოტოსთან ეს დისკურსი ფართოდ არ არის წარმოდგენილი (Hdt. VII, 76-79 მოცემულია ზოგიერთ ქართველურ ეთნოსთა სამხედრო აღჭურვილობის აღწერილობა; არის ცნობები კოლხთა და მაკრონთა nomoi-ზე, კერძოდ, წინადაცვეთის მათ წესზე (Hdt. II, 104), კოლხებში სელის დამუშავებაზე (Hdt. II, 105).

კლასიკურ პერიოდში ისტორიოგრაფიის გვერდით აღმავლობას განიცდის საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათ შორის მედიცინა, ასევე დიდ სიმაღლეებს იპყრობს ფილოსოფიური პროზა. ელინისტურ ხანაში მსოფლიო გეოგრაფიის გვერდით ჩნდებიან გეოგრაფიის ახალი ჟანრები – პერიპლუსი და პერიოდოსი ან პერიეგესისი. ამ ჟანრების წარმომადგენელნი არიან ჩვენი სტატიის შესწავლის ობიექტები – ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელი და დიონისიოს პერიეგეტესი.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ნაშრომი ძვ.წ. IV საუკუნეში არის შექმნილი. ხელნაწერის მიხედვით, მისი სათაურია „დასახლებული ევროპის, აზიისა და ლიბიის ზღვის გარშემოვლა/პერიპლუსი“. მართალია, ხელნაწერში მის ავტორად სკილაქს კარიანდელია დასახელებული, მაგრამ დიდი ხანია დადგენილია, რომ სკილაქს კარიანდელი ძვ.წ. VI-V სს-ის მოღვაწე იყო. შესაბამისად, ძვ.წ. IV საუკუნის პერიპლუსი სხვა პიროვნებას ეკუთვნის. დღესდღეობით, მის ავტორს ფსევდო-სკილაქს კარიანდელს უწოდებენ. ავტორის შესახებ დაბეჯითებით ძალზე ცოტა რამ შეიძლება ითქვას. თანამედროვე ეტაპზე ვარაუდობენ, რომ ფსევდო-სკილაქსი იყო ათენელი, ანუ თუ წარმოშობით არ იყო ათენელი, იგი სამყაროს ათენის ინტელექტუალური კულტურის პრიზმიდან მოიაზრებდა (Shipley, 2011: 6). ნაწარმოების დაწერის დროდ ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედს ვარაუდობენ, პერიოდს ალექსანდრე დიდის აღმოსავლურ ლაშქრობამდე.

დღესდღეობით, სკეპტიკურად განიხილავენ აღნიშნული პერიპლუსის მიკუთვნებას პერიპლუსისა თუ „პერიპლოგრაფიული ჟანრისთვის“, როგორც ამას ბერძნული გეოგრაფიის ისტორიკოსები მიიჩნევდნენ (Shipley, 2011: 20)[3]. შიფლის ვარაუდით, ეს ტრაქტატი ფილოსოფიური გეოგრაფიის ნიმუშად უნდა განვიხილოთ[4]. ავტორი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ცდილობდა განესაზღვრა სამყაროს განფენილობა და მიმართებები მის სხვადასხვა ნაწილს შორის. ეს მიმართებები კი მისთვის არსებითი იყო ბერძნების ინტერესიდან გამომდინარე, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რა შესაძლებლობები არსებობდა ამ ნაწილთა ბერძნების მიერ მონახულების, მათი გამოყენების თუ, საბოლოო ჯამში, ბერძენთა კონტროლის ქვეშ მათი მოქცევისა (Shipley, 2011: 13).

ფსევდო-სკილაქსის გეოგრაფიულ ნარატივში წინა პლანზე დგას დედამიწის ზომების დადგენა და ეთნიკური ტერიტორიებისა და ქალაქების კატალოგიზაცია. დროდადრო აქცენტს აკეთებს ისტორიაზე, გვამცნობს კონკრეტულ ტოპონიმებთან დაკავშირებულ მითოსურ რეალიებს თუ ბერძენ ავტორთა გადმოცემებს, ნაკლებად თუმცა მაინც ურთავს ეთნოგრაფიულ მასალას, ფიზიკური გეოგრაფიის ცნობებს, ცალკეულ შემთხვევებში, გვამცნობს სამხედრო სფეროსთან დაკაშირებულ ინფორმაციას. მწერლის მიერ აღწერილი დედამიწა შედგება ხალხების ბლოკებისგან, რომლითაც ფსევდო-სკილაქსი „ethne“-ს – თემებს უწოდებს[5].

---

[3] შიფლი განმარტავს, თუ რატომ არ უნდა იქნეს ერთ „ჟანრად“ განხილული პერიპლუსის სახელით მოღწეული ნაწარმოებები, რომელთაც საკმაოდ განსხვავებული ხასიათი აქვთ.

[4] შიფლი დაწვრილებით განიხილავს ნატურფილოსოფოსების მსოფლხედვასთან ფსევდო-სკილაქსის მოსაზრებათა თანხვედრას. მისი აზრით, ფსევდო-სკილაქსი ზღვაოსნობის ნარატივს სამყაროს ჰოლისტურ სურათ-ხატს ურწყამდა (Shipley, 2012).

[5] შიფლი მიიჩნევს, რომ ethne-ს უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა „ეთნიკურად განსაზღვრული პოლიტიკური ერთეულები“. ამასთან ამ ბლოკთაგან ზოგიერთი არის უფრო ტოპოგრაფიული, ვიდრე პირწმინდად ეთნიკური კატეგორია (Shipley, 2011: 14).

აღწერისას ფსევდო-სკილაქსი ძირითადად ჩამოთვლის ხალხებს, მდინარეებს, რომლებიც ზღვაში ჩაედინებიან, ნავსადგურებსა და ქალაქებს (პოლისებს)[6]. ამგვარ სქემატურ მონახაზში ავტორი აფიქსირებს განსხვავებას ელინურ და ბარბაროსულ თემებს შორის. ასე მაგალითად, ქალაქების ხსენებისას ფსევდო-სკილაქსი მათ განსასაზღვრავად თითქმის ყოველთვის იყენებს ტერმინებს – ელინური, ბარბაროსული. ზოგ ქალაქს იგი ელინურს უწოდებს, ზოგს – ბარბაროსულს. მეცნიერებს საკამათოდ მიაჩნიათ ამ ნარატივებში გამოყენებული ტერმინი Polis Hellenis. თ. ყაუხჩიშვილი თვლის, რომ ამ ტერმინის სემანტიკა არ არის ბოლომდე გარკვეული, თუმცა ეს ცნება სულ ცოტა იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამგვარ ქალაქებს ბერძნულ სამყაროსთან ცხოველი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ (ყაუხჩიშვილი, 1976: 86). მეორე მხრივ, კაჭარავა ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ Polis Hellenis, როგორც წესი, ნაშრომში გამოიყენებოდა მხოლოდ ბერძნული კოლონიზაციური მოძრაობის შედეგად დაფუძნებულ კოლონიებთან მიმართებით (Kacharava, 2005: 11). ვფიქრობთ, ამგვარ მშრალ ჩამონათვალში ელინურის და ბარბაროსულის ასეთი მკვეთრი გამიჯვნა ცხადად მეტყველებს ავტორის იდეოლოგიურ მიზანდასახულობაზე.

შავი ზღვის სანაპიროს აღწერას ფსევდო-სკილაქსი ჩრდილო ნაწილიდან იწყებს და სამხრეთისკენ მიემართება. აქ მცხოვრებთა შორის პირველად მოხსენიებულნი არიან სავრომატები (Ps. Skylax, 70). ისინი ტანაისთან (ანუ დონთან) ცხოვრობენ. მათ მოსდევთ მეოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქეელები, ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლეები, გელონები, კოლხები, ბიძერები, ეკექეირები, ბექირები, მაკროკეფალები, მოსინიკები, ტიბარენები. ჩამონათვალს ხალიბთა ტომი ამთავრებს, რომლებიც თერმოდონის შესართავთან ბინადრობენ (Ps. Skylax, 71-88).

ზოგიერთი ამ ტომის დასახელებისას ავტორი ქალაქებს არ ახსენებს. თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, ამ ეთნოსებს ქალაქები თუ დასახლებული პუნქტები არ უნდა ჰქონოდათ. ფსევდო-სკილაქსის მიერ ჩამოთვლილი ტომებიდან კერკეტებს, ტორეტებს, აქეელებს, ჰენიოხებს, კორაქსებს, კოლებს, მელანქლეებს და გელონებს რამდენიმე ავტორი ველურ ტომებად მოიხსენიებს (ყაუხჩიშვილი, 1976: 83). შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მათ ქალაქები არ ჰქონოდათ.

სხვა ეთნოსებთან შედარებით ფსევდო-სკილაქს კარიანდელი ვრცლად კოლხებზე ჩერდება. მდინარეების გარდა ახსენებს მათ ელინურ ქალაქებს გიენოსსა და ფასისს. ახსენებს იგი დიოსკურისსაც, თუმცა ეპითეტებით – ბარბაროსული თუ ელინური მას არ განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ-რომაულ წყაროებში ეს ქ. დიოსკურიასის პირველი მოხსენიებაა. კოლხთა თემში გვისახელებს გეოგრაფი „დიდ ბარბაროსულ ქალაქს“. სწორედ აქედან იყო, ავტორის ცნობით, მედეა[7]. ეს ქალაქი მდებარეობდა მდ. ფასისის აყოლებაზე 180 სტადიონის (35 კმ-ის) მანძილზე. მწერალი არ გვამცნობს ამ ქალაქის სახელწოდებას. მეცნიერებაში არ არის დადგენილი, რომელ ქალაქს გულისხმობს ფსევდო-სკილაქსი[8].

---

[6] ტერმინი „პოლისი“აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას იწვევს. პ. ფლენსტედ-იენსენის და მ. ჰანსენის მიხედვით, ტერმინი „პოლისი“ ნაწარმოებში ყოველთვის იხმარება უფრო მისი ურბანული, ვიდრე პოლიტიკური აზრით. ანუ ტერმინი „პოლისი“ აუცილებლად არ გულისხმობს „სახელმწიფო ერთეულს“, ის აღნიშნავს დასახლების არსებობას. დასახლების აღნუსხვა კი საჭირო იყო საზღვაო იტინერარიუმებისთვის (Flensted-Jensen and Hansen, 1996).

[7] ეს ცნობა საგულისხმოა ავტორის გეოგრაფიული სტილის თვალსაზრისით, კერძოდ, გეოგრაფიული ტოპონიმის მითოლოგიურ რეალიასთან დაკავშირების მხრივ (Clarke, 1999: 96).

[8] აია-კოლხისის დიდ ქალაქად მიიჩნევა კჳტაია-ქუთაისი, თუმცა ის გაცილებით შორსაა ზღვის სანაპიროდან, ვიდრე 35 კილომეტრია (ყაუხჩიშვილი, 1976: 85).

კოლხების შემდეგ გეოგრაფი ახსენებს ბიძერებსა და ეკექეირიებს, რომლებიც თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ბინადრობენ. *ekecheiria* ბერძნულად „ზავს“ ნიშნავს, სავარაუდოდ, ბერძნებს უცხო სახელი გაუბერძნულებიათ და თავიანთთვის ნაცნობი მნიშვნელობა მიუნიჭებიათ (Shipley, 2011: 157). ეკექეირიების ტერიტორიაზე სახელდება ელინური ქალაქი ოდეინიოსი და ქალაქი ლიმნე (იგივე ათენა, დღ. ფაზარი).

ბექეირების მხარეში მდებარეობს ელინური ქალაქი ბექეირიასი, რომელიც მათი ნავსადგურიც უნდა იყოს (ყაუხჩიშვილი, 1976: 86)[9]. მაკროკეფალების (იგივე მაკრონების) ტერიტორიაზე არის ელინური ქალაქი ტრაპეძუნტი და ნავსადგურად – ლიმენად წოდებული ფსორონი. მოსინიკების სამოსახლოში ფსევდო-სკილაქსი ასახელებს ელინურ ქალაქ ქოირადესს (თან. გირესუნი), ნავსადგურ ძეფირიოსს. ხალიბებს აქვთ ელინური ქალაქი სტიმანეია/ამენეია, ელინური აკროპოლისი იასონია და დახურული ნავსადგური გენეტესი[10].

ამდენად, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“, რომლის მიზანი დედამიწის ზომების დადგენა და ეთნიკური ტერიტორიების კატალოგიზაციაა, ე.წ. „სხვის“ რეპრეზენტაციის ზემოთ დასახელებული დისკურსები – იქნება ეს მათი ეთნოგენეზისი თუ კულტურის სხვადასხვა მახასიათებელი ნაკლებად არის წარმოდგენილი. ეს ვრცელდება ქართველური ეთნოსების რეპრეზენტაციებზეც. ამასთან, ნაწარმოებში შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველური ეთნოსების გეოგრაფიული არეალის მიმოხილვისას, ისევე როგორც სხვა ხალხების შემთხვევაში, მკვეთრადაა გამიჯნული ელინური და ბარბაროსული ქალაქები, რაც საყურადღებო ჩანს ელინურ ცივილიზაციასთან ქართველური ეთნოსების სიახლოვისა თუ სიშორის ავტორისეული ხედვის დასადგენად.

ფსევდო-სკიმნოს ქიოსელი/ანონიმი (სკიმნოს ქიოსელი) ბერძნული გეოგრაფიის მეორე ახალი ჟანრის – პერიეგესისის/პერიოდოსის წარმომადგენელი გახლავთ. ბერძნული გეოგრაფიის შესახებ უახლეს გამოკვლევაში შიფლი მის თხზულებას *Nikomedean Periodos* – ნიკომედურ პერიოდოსს უწოდებს (Shipley, 2024: 466). სიტყვასიტყვით პერიეგესისი „აღწერილობას“ ნიშნავს და ზოგადად ხალხთა თუ ქვეყანათა ღირსშესანიშნავი ამბების გადმოცემას გულისხმობს.

ნაწარმოები პოეტურად დაწერილი გეოგრაფიის ყველაზე ადრეული ნიმუშია. პოემას სრულიად არ მოუღწევია ჩვენამდე. 1-742 ტაეპი გაბმული ტექსტის სახითაა მოღწეული, დანარჩენი ნაწილები ფრაგმენტულად, დაახლ. 200 ტაეპზე მეტი. ნაწარმოები შედგება შესავლისა და ორი ნაწილისგან: „ევროპა“ და „აზია“. დღესდღეობით ამ პოემის ავტორი და მისი შექმნის ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი (Shipley, 2024: 467-68)[11]. მიახლოებით თარიღად ძვ.წ. 127/6-74 წწ. მიიჩნევა[12].

---

[9] შიფლის ვარაუდით, ქ. ბექეირიასი მხოლოდ აქ დასტურდება, პოლისის სტატუსი საეჭვოა (Shipley, 2011: 157).

[10] დახურული ნიშნავს დაცულ საზღვაო ნავსადგურს (Shipley, 2011: 158). მაუროს მიხედვით, დახურული იმიტომ ეწოდება, რომ აქვს ვიწრო ყელი და იცავს შიგნით მდგარ ხომალდს (Mauro, 2022: 25).

[11] ამ ნაწარმოებს ფსევდო-სკიმნოსის ტრადიციულად XVII საუკუნიდან ეწოდება. ძვ. ბერძნულ მწერლობაში ცნობილი იყო სახელი სკიმნოს ქიოსელისა, რომელიც ძვ.წ. III-II სს-ში ცხოვრობდა და დაწერილი ჰქონდა პროზაული პერიეგესისი. ამჟამად დაკარგული.

[12] დათარიღება მიძღვნის ობიექტის – ანუ ბითვინიის მეფე ნიკომედესის მოღვაწეობის წლების მიხედვით ხდება, მიძღვნის ობიექტი შესაძლოა ყოფილიყო ბითვინიის ორი მეფე – ნიკომედეს III (ძვ.წ. 127/6-94) და ნიკომედეს IV (ძვ.წ. 94-74). შესაბამისად, სავარაუდო თარიღად ამ ორი მმართველის მოღვაწეობის წლები არის აღებული (Shipley, 2024: 466-67).

ანონიმ (სკიმნოს ქიოსელის) თხზულება პოპულარული კომპენდიუმია. პოემაში წარმოდგენლია: ა) წმინდა გეოგრაფიული ხასიათის ცნობები – ჰავის დახასიათება, ქალაქების, მდინარეების და ა.შ. მდებარეობა; ბ) ეთნოსთა ლოკალიზაცია; გ) ტომთა დახასიათება; დ) კოლონიზაციასთან დაკავშირებული დისკურსი; ე) მითოლოგიური წიაღსვლები (ყაუხჩიშვილი, 1967: 71-77).

რაც შეეხება ფსევდო-სკიმნოსის გეოგრაფიული აღწერის მეთოდოლოგიასა და სტილს, იგი პატივს მიაგებს ტრადიციული გეოგრაფიული აღწერის მეთოდებს. ასე მაგალითად, ავტორი, ერთი მხრივ, მისდევს ფსევდო-სკილაქსისა და სხვების მეთოდიკას, რაც მედიტერანული სივრცის ეთნიკურ ერთეულებად, ბლოკებად დაყოფას გულისხმობს, სხვაგან იყენებს ეფოროსის პრაქტიკას და ჩამოთვლას/აღწერას არა ეთნიკური თემების, არამედ სახელმწიფოების მიხედვით ახორციელებს. ამასთან ცდილობს თავისი ორიგინალური მეთოდისა და ხედვის შემოტანასაც (Shipley, 2024: 469).

როგორც ვხედავთ, ფსევდო-სკიმნოსთან დაკავშირებით ბევრ სადავო საკითხთან გვაქვს საქმე, რომელთა განხილვაც სცდება ჩვენს საკვლევ მიზანს[13].

აზიის შესახებ ნარატივი 874-980 ტაეპებს მოიცავს, მოღწეულია ფრაგმენტების სახით. მწერალი აზიისა და ევროპის საზღვრად მდ. ტანაისს მიიჩნევს, აზიის მაცხოვრებელთა აღწერას კი სარმატების ეთნოსით იწყებს.

ქართველური სამყაროდან ფსევდო-სკიმნოსი წარმოგვიდგენს სამ ეთნოსს – მოსინიკებს, ტიბარენებს და ხალიბებს. მათგან ყველაზე ვრცლად იგი მოსინიკებზე ჩერდება[14]. ავტორი მათ კულტურის სამივე მახასიათებლით – ეთნიკური თვისებებით, კანონებით/ადათ-წესებით და მატერიალური კულტურის არტეფაქტებით ახასიათებს. მწერალი მოსინიკების რეპრეზენტირებას მათი ethea-ს – ეთნიკური ნიშნების შეფასებით იწყებს და ამ ეთნოსს ყველაზე ბარბაროსს უწოდებს კანონებისა და საქმიანობის მიხედვით. ბარბაროსობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მახასიათებელი ყველაფრის ცხადად კეთებაა (902-903)[15]. მწერალი ახსენებს მოსინიკების მატერიალური კულტურის – diaita-ს ერთ-ერთ მთავარ არტეფაქტს – ხის მაღალ კოშკებს, რომელშიც ისინი ბინადრობენ. უნდა ითქვას, რომ ხის მაღალი კოშკი „უცხოს“ ბერძნული რეპრეზენტაციების დისკურსში მოსინიკთა ერთ-ერთი უმთავრესი მარკერი და ამასთან მათთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელებული topos-ია.

ასევე ცნობილი topos-ია მოსინიკთა კანონი მეფესთან დაკავშირებით: „ისინი თავის მეფეს შეკრულსა და კოშკში ჩაკეტილს გულმოდგინედ იცავენ, იგი ჰყავთ სულ ზემოთა სართულში, ხოლო მისი დარაჯები ზრუნავენ, რომ მისი ყოველი განკარგულება კანონიერი იყოს. ხოლო თუკი მან გადაუხვია [კანონს], ამბობენ, რომ მას უდიდეს სასჯელს ადებენ – არ აძლევენ საჭმელს (905-910)[16].

მეორე ქართველურ ეთნოსს – ტიბარენებს, ფსევდო-სკიმნოსი არესის უდაბური კუნძულის მახლობლად ათავსებს. ამ ეთნოსს იგი მხოლოდ ერთი მარკერის – ადათ-წესის/ქცევის წესის მიხედვით ახასიათებს: „ისინი ძალიან ცდილობენ ყოველნაირად, რომ

[13] ამ ნაწარმოების შესახებ თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ გამოკვლევად ითვლება Didier Marcotte, Introduction Genérale; Ps.-Scymnos, Circuit de la terre, Paris, 2000.

[14] მოსინიკების შესახებ იხ. გორდეზიანი, უგულავა, 2020: 131-2.

[15] საინტერესოა, რომ ფსევდო-სკიმნოსი არ გვიყვება, თუ კონკრეტულად რას აკეთებენ ცხადად მოსინიკები. მისგან განსხვავებით ქსენოფონი (Xen., *An.*, V, 4, 11-14), მელა (Mela, *De Chorographia*, 106), აპოლონიოს როდოსელი (Ap. Rhod., *Argon.*, II, 373-383) აღნიშნავენ, რომ მოსინიკები ღიად ანუ საჯაროდ ამყარებენ სქესობრივ კავშირს.

[16] მოსინიკთა ამ კანონის სხვა წყაროებთან შედარებისთვის იხ. ყაუხჩიშვილი, 1967: 68-70.

იცინონ, რადგან ეს ბედნიერების მომასწავებლად მიაჩნიათ“ (914-916). ესეც ფართოდ გავრცელებული topos-ია ანტიკური მწერლების რეპრეზენტაციებში ტიბარენებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ხალიბებს, მათ შემთხვევაში „პერიოდოსის“ ავტორი მხოლოდ მათი საცხოვრისის ლოკალიზებით იფარგლება. „ზღვის ნაპირას ცხოვრობენ პაფლაგონელები და პამფილიელები. ხალიბები ქვეყნის შიგნით არიან და (ცხოვრობენ) კაპადოკიელების მახლობლად“ (938).

ქართველურ სამყაროსთან დაკავშირებით საინტერესოა ფსევდო-სკიმნოსის მიერ მოყვანილი გენეზისის მითი[17]: „ისინი [იგულისხმება ლატინები] აქ დაასახლა ლატინოსმა, რომელიც კირკემ გააჩინა ოდისევსისგან“ (227 და შმდგ.). ზოგადად, ქართველურ ეთნოსებთან მიმართებაში ბერძენ ავტორებთან ძირითადად არგონავტების თქმულების რეალიებია მოხმობილი, თუმცა ზოგჯერ სხვა ციკლის ნარატივებსაც ეხებიან. ეს შემთხვევა სწორედ ამის მაგალითია. ამასთან, მკვლევრები აღნიშნავენ ფსევდო-სკიმნოსისთვის ოდისევსის ფიგურის მნიშვნელოვანებას (Lightfoot, 2020).

დიონისიოს პერიეგეტესის „დედამიწის აღწერილობა“ 1200-მდე სტრიქონის შემცველი, ჰექსამეტრებით გამართული პოემაა. მიუხედავად იმისა, რომ თხზულებას პერიეგესის ჟანრს მიაკუთვნებენ, ის მაინც არ გახლავთ ამ ჟანრის ტიპური ნიმუში. პირველი, პოემაში წარმოდგენილია არა რომელიმე მხარის აღწერილობა, რაც ჟანრის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად გვევლინება, არამედ ავტორისთვის ცნობილი მთელი დედამიწი სურათი. არ გვხვდება პოემაში ხელოვნების ძეგლებისა თუ სხვა სიძველეთა აღწერა, რაც ასევე უმთავრესი მარკერია პერიეგესის ჟანრის. მეორე, დიონისიოსის ნაწარმოები გეოგრაფიულ თემატიკაზე რიტორიკულად გაწყობილ დიდაქტიკურ პოემას წარმოადგენს. აქ უხვადაა პოეტური წიაღსვლები და მითოსურ-კოსმოლოგიური ალუზიები, რაც მიმზიდველს ხდის მას და ამასთან სამეცნიერო ინფორმაციის მკითხველამდე მიტანას აადვილებს[18]. „დედამიწის აღწერილობის“ ლიტერატურულ მოდელებად ჰესიოდეს, არატოსისა და აპოლონიოს როდოსელის პოემები ითვლება. პოეტური ტრადიციის შესაბამისად ავტორი მიმართავს მუზებს, იგი გვამცნობს, რომ მისი ცოდნა მუზებიდან მოდის. ეს უკანასკნელი საყურადღებო განაცხადია და იმას ნიშნავს, რომ დიონისიოსს არ აქვს პრეტენზია მკითხველს ემპირიული ცოდნა მიაწოდოს. თხზულება კომპილაციური ნაშრომია, რომელიც ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდის არაერთ ცნობას აერთიანებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დიონისიოსს „სწავლული ალექსანდრიზმის“ პირდაპირ გამგრძელებლად მოიაზრებენ (Илюшечкина, 2005: 217).

---

[17] ამ ტიპის მითის ფარგლებში ავტორი ეხება მმართველი დინასტიის, სახელმწიფოს, ეთნოსთა წარმომავლობის თემებს. ეს მითები წარმოგვიდგენენ სხვადასხვა გენეზისის მითოსურ ფიგურათა კავშირებს. ამ კავშირთა ნაყოფი ამა თუ იმ ეთნოსის დამაარსებელი, ე.წ. ეპონიმი გმირი ხდება.

[18] ჩვენამდე მოღწეული გეოგრაფიული თხზულებები როგორც ფორმით, ისე შინაარსით არაერთგვაროვანი არიან. ზოგიერთი აგებულია რუკების შექმნის ტექნიკური აღწერილობის პრინციპების შესაბამისად, რაც საინტერესო სპეციალისტთა მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო. სხვები პირიქით, მკითხველთა ფართო ფენაზე იყო გათვლილი და, შესაბამისად, უფრო ენციკლოპედიური ხასიათისა გახლდათ. მესამე კატეგორიას სწორედ დიონისიოსის თხზულება წარმოადგენდა. მასთან ერთად კი ფსევდო-სკიმნოსის ზემოთ განხილული პერიეგესისი და დიონისიოსის, კალოფონოსის ძის „ელადის აღწერილობა“ (Илюшечкина, 2005: 215). დიონისიოსის თხზულების ილუშეჩკინას მიერ შესრულებული თარგმანი კომენტარებით და შესავალი წერილით წარმოდგენილია ВДИ-ს სამ ნომერში. ВДИ 2005, №4, 214-231. ВДИ, 2006, №1, 217-231; ВДИ, 2006, №2, 234-251.

დიონისიოსის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. თავად პოემის აკროსტიქიდან ადგენენ, რომ ავტორი წარმოშობით ალექსანდრიელია და რომ პოემა ჰადრიანუსის მმართველობის – 117-138 წწ-შია შექმნილი. კიდევ უფრო აკონკრეტებს მისი დაწერის პერიოდის ხანი, იგი ნაწარმოებს 130-138 წწ-ით ათარიღებს (Khan, 2024: 760).

პოემის სტილმა, როგორც ჩანს, განაპირობა მისი უდიდესი პოპულარობა ანტიკურსა და ბიზანტიურ პერიოდებში. ნაწარმოების შემორჩენილი ასლების სიმრავლე – 134 ხელნაწერი ამისი ნათელი დასტურია. „დედამიწის აღწერილობა“ ძველ დროში გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ ავტორიტეტულ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა და, ზოგადად, დიონისიოსის თხზულება ფართოდ გამოყენებულ სასკოლო ტექსტად იყო ცნობილი. თუმცა მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული. კერძოდ, თვლიან, რომ ავტორი არ ისახავდა მიზნად, მის ნაშრომს სახელმძღვანელოს ფუნქცია ჰქონოდა (Khan, 2024: 765)[19].

საყურადღებოა დიონისიოსისეული აღწერის მეთოდოლოგია. მკვლევართა განცხადებით, მას ახასიათებს როგორც არათანმიმდევრულობა, ისე წინააღმდეგობრიობა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორი ცნობებს სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან იღებდა. როდესაც იგი ეთნოგრაფიული მონაცემების სისტემაზირებას ახდენს, იგი „გზის (მარშრუტის)“ აღწერის იმ პრინციპებს იყენებს, რომლებიც პერიეგესისთვისაა დამახასიათებელი. ასეთია ჰოდოლოგიური მეთოდი (სიტყვიდან „ჰოდოს“ – გზა), რომელიც აღწერისას განსაზღვრული გზის/მიმართულების არსებობას გულისხმობს. ამ მიმართულებით („გზაზე“) გადაადგილებისას დიონისიოსი თანმიმდევრულად წარმოგვიდგენს ეთნო და გეოგრაფიულ ობიექტებს. სივრცის ამგვარი მოაზრება კი ეფუძნება, ერთი მხრივ, გზათა რუკებსა და დამხმარე პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს, მეორე მხრივ კი, სხვადასხვაგვარ ნარატიულ წყაროებს (Илюшечкина, 2005: 219).

დიონისიოსის ნაშრომს მისი პოპულარობიდან გამომდინარე ხშირად იმოწმებდნენ, თარგმნიდნენ, ურთავდნენ კომენტარებს. არსებობს მისი ორი ლათინური პარაფრასისი – თარგმანი. ერთის ავტორია მაღალი თანამდებობის რომაელი მოხელე – რუფინუს ავენიუსი (IV ს.), რომლის თარგმანიც დედნის თავისუფალ პოეტურ თარგმანს წარმოადგენს. მეორის ავტორი კი გახლავთ კონსტანტინოპოლელი სწავლული პრინკიანუსი (VI ს.). მასაც თხზულება პოეტურად აქვს ნათარგმნი, ოღონდ ეს თარგმანი უფრო დახვეწილ თარგმანად არის მიჩნეული. დიონისიოსის პოემის დაწვრილებითი კომენტარები შეუდგენია XII ს-ის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს – ევსტათი თესალონიკელს. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე „დედამიწის აღწერილობის“ სქოლიონებმა (IV-V სს.). ამას გარდა არსებობს პროზად დაწერილი ბერძნული ანონიმური პარაფრასისი (სავარაუდოდ IX ან X სს.). კვლევის თანამედროვე ეტაპზე, დიონისიოსის ცნობებს მის სქოლიოებთან, პარაფრასისებთან თუ ევსტათის კომენტარებთან ერთად განიხილავენ[20].

დიონისიოსის „დედამიწის აღწერილობა“ წარმოგვიდგენს: ა) წმინდა გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას; ბ) მითოსთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ რეალიებს. ზოგჯერ

[19] ამავე აზრისაა ლაითფუთი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს თხზულება ნაკლებად გამოდგებოდა სასკოლო სახელმძღვანელოდ (Lightfoot, 2014: 183).

[20] დიონისიოსის სქოლიოები, ევსტათი თესალონიკელის კომენტარები, ისევე როგორც პოემის ლათინური თარგმანები 1828 წელს გამოსცა ბერნჰარდტმა. Dionysus Periegetes graece et latine cum vetustis commentaries et interpretationibus ex recensione et cum anotatione Godofredi Bernhardy, Lipsiae, 1828. ევსტათი თესალონიკელის კომენტარებზე მეცნიერული გამოკვლევების შესახებ იხ. Илюшечкина, 2005: 216.

მოცემულია დაარსების მითები[21]; გ) ეთნოსთა რეპრეზენტაციებს, რომელთა მთავარი თემა ეთნოსთა გენეზისი ან სხვადასხვა რეგიონთან მათი ისტორიული კავშირებია. ნაკლებად, თუმცა მაინც გვამცნობს ავტორი ამა თუ იმ ეთნოსის კულტურის მახასიათებლებს. სხვადასხვა ეთნოსის კულტურული მარკერების განხილვისას დიონისიოსი მიმოიხილავს კვების რაციონსა და წესებს, დროდადრო – ჩაცმულობას. ამა თუ იმ ეთნოსის ეთნიკური შტრიხებს მოკლედ და ზოგადად გადმოგვცემს, ასე მაგალითად, როცა იგი იტალიიის ეთნოსებს, უპირველესად ლათინებს, მეომარ ხალხებად მოიხსენიებს (Lightfoot, 2014: 158-9).

ქართველური სამყაროს აღწერისას, მისი ეთნოსების რეპრეზენტირებისას დიონისიოსი პოემაში ყველა ამ ზემონახსენებ დისკურსს წარმოგვიდგენს.

მწერალი ასახელებს ევქსინის პონტოს, ფასისს, კირკეს დაბლობს, კავკასიონს და ა.შ.[22]. აქ შევჩერდებით ტერმინ „ევქსინის პონტოსთან“ დაკავშირებულ სქოლიოებსა და ევსტათის კომენტარებზე. 20-21 სტ-ში დიონისიოსი წერს, რომ აზიის მიწის კიდეზე გადაჭიმულია მაღალი ყელი კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის. მას ევროპისა და აზიის საზღვრად თვლიან[23]. სქოლიასტის მიხედვით: „ევქსინს ეწოდება აქსეინოსი (არასტუმართმოყვარე) იმიტომ, რომ დასახლებული იყო მეკობრეებით და იქ უცხოელთაგან არავინ მიდიოდა, ახლა კი მას ეწოდება ევქსეინოსი (სტუმართმოყვარე) ამის საწინააღმდეგოდ, ან როგორც ზოგიერთები ამბობენ იმიტომ, რომ ჰერაკლემ გააძევა აქედან მეკობრეები და ვიღაც სტუმართმოყვარე ხალხი დაასახლა“.

146 სტ-ში დიონისიოსი კვლავ ახსენებს ევქსინის პონტოს. „აქედან (ანუ თრაკიული ბოსფორიდან) უეცრად იშლება ვრცელი პონტო“. პონტოში შავი ზღვა იგულისხმება. ევსტათი განმარტავს, თუ რატომ ითვლებოდა ეს ზღვა არასტუმართმოყვარედ. ან იმიტომ, რომ მას არა აქვს კუნძულები მისადგომებით, ან იმიტომ, რომ ირგვლივ ცხოვრობენ უჟმური სკვითი ბარბაროსები, რომლებიც მსხვერპლად სწირავდნენ უცხოელებს და ჭამდნენ მათ ხორცს, ხოლო ადამიანთა თავის ქალებს იყენებდნენ სასმისად“. როგორც ვხედავთ, კომენტატორები აქ ტერმინების განმარტებას ცდილობენ და მათ ეტიმოლოგიას გვაძლევენ.

მითოსთან დაკავშირებული ტოპონიმების განხილვა დიონისიოსის ერთ-ერთი უმთავრესი დისკურსია. მითოლოგიური მასალა უმეტესწილად დაარსების მითების სახითაა წარმოდგენილი. ეს მითები მკითხველს სახელმწიფოს, ქალაქის თუ ეთნოსთა წარმომავლობას უხსნიან. აი, რას გვამცნობს დიონისიოსი აფსირტიდების – აფსირტოსის კუნძულების სახელდებასთან დაკავშირებით: „შემდეგ მზის სინათლისკენ ჩნდება აფსირტოსის კუნძულების უშველებელი მწკრივი, რომლებზეც ოდესღაც გადმოვიდნენ კოლხთა შვილები,

[21] მოხმობილი მითოლოგიური ალუზიები ზოგჯერ ეხმიანება ადრეიონიურ ტრადიციას, რომელიც სამყაროს პერიფერიებზე ბერძნული კოლონისტთა სამოსახლოების თუ ქალაქების დაარსების შესახებ მოგვითხრობდა.

[22] დიონისიოსის მიერ ქართველურ სამყაროსთან დაკავშირებით მოხსენიებულ ტოპონიმთა შესახებ იხ. ხინთიბიძე, 2016: 100-1.

[23] ძირითადად ვიყენებთ ყაუხჩიშვილი, 1967-ში მოცემულ თარგმანს, თუმცა ვაჯერებთ სხვა თარგმანებთან, უპირველესად Caucasus Antiquus, I, 2022: 382-385-ში წარმოდგენილ თარგმანთან.

თ. ყაუხჩიშვილს მოაქვს სქოლიასტის გაკეთებული შენიშვნა ამ პასაჟზე. აი, რას წერს სქოლიასტი: „ამ ყელს ზოგიერთები უწოდებენ კავკასიას; სხვები თრენეს დაბლობს. მაგრამ უმჯობესია მას აღმოსავლეთ იბერია ვუწოდოთ...“ (ყაუხჩიშვილი, 1967: 113).

ევსტათის მიხედვით, კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის არსებულ ყელზე აღმართულია პრომეთევსის საყოველთაოდ ცნობილი კავკასიონი და მდებარეობდა იბერთა აღმოსავლეთი ქვეყანა, რომელიც კოლხისსა და [კავკასიურ] ალბანეთს შორის იყო (Eust., *ad Dion. Per.*, 19).

როდესაც დაიღალნენ აიეტის ასულის კვალს დადევნებულები“ (487-91). ხანის ინგლისური თარგმანი ბოლო სტრიქონს ცოტა განსხვავებულად მოიაზრებს. “When they took pains in searching after the traces of the errant daughter of Aietes” (Khan, 2024: 786)[24].

დიონისიოსი მედეას მიდიელთა ეპონიმად მიიჩნევს. „სამხრეთისკენ ცხოვრობენ კეთილშობილი მიდიელების ტომები, რომლებიც მომდინარეობენ აიეტის ასულის, უნაკლო გმირი ქალის სახელოვანი გვარიდან“ (1020-22). თხრობას ავტორი აგრძელებს ათენში მედეას მიერ თესევსის მოწამვლის მცდელობის მითით, რის შემდეგაც სირცხვილის გამო ატიკიდან გაქცეული მედეა ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მივიდა კოლხების მახლობლად ნაყოფიერ თავის მოსახელე ქვეყანაში. „კოლხთა მიწის მიღწევა კი მას არ შეეძლო, რადგან თავისი მამის რისხვის ეშინოდა. ამიტომაა, რომ აქამდე მრავალი წამლის მცოდნე ხალხი ცხოვრობს [ამ] უსაზღვრო ქვეყანაში...“ (1027-1030). როგორც ვხედავთ, ამ ნარატივის მიხედვით, მედეა მიდიელთა ეპონიმია და ამასთან ამ ეთნოსის ერთ-ერთი კულტურული მახასიათებლის – ადათ-წესის, კერძოდ, წამალმცოდნეობის განმსაზღვრელიც[25].

314 სტ-ში დიონისიოსი მდ. პანტიკაპოსის წყლებს ახსენებს. საინტერესოა ამ პასაჟზე ევსტათი თესალონიკელის კომენტარი: „მდ. პანტიკაპოსის სახელიდან იწოდება დიდ ქალაქი პანტიკაპეონი, რომელიც აიეტის შვილის მიერ არის დაფუძნებული“ (Eust., *ad Dion. Per.*, 311). ესეც დაარსების მითოსია, რომელიც ამასთანავე ხაზს უსვამს შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე მაცხოვრებელი ხალხების და კოლხების მჭიდრო ურთიერთობას.

ეთნოსებისა და მითოლოგიური ფიგურების (როგორც ეს მიდიელთა და მედეას შემთხვევაში გვქონდა) დაკავშირება არაერთგზის გვხვდება კომენტარებსა და სქოლიოებში. დიონისიოსი ახსენებს ჰენიოხებსა და ძიგებს (687) (გორდეზიანი, 2021: 204). ევსტათი თესალონიკელი გვამცნობს, თუ საიდან მომდინარეობს ჰენიოხთა სახელწოდება. მისი თქმით, არგონავტების ერთ-ერთ ხომალდზე იყვნენ დიოსკურების მეეტლეები, ბერძნ. ἡνίοχοι. სწორედ მათგან მიიღეს სახელწოდება ჰენიოხთა და ტინდარიდების ტომებმა და ქვეყანამ, დიოსკურიდამ (Eust., *ad Dion. Per.*, 687)[26]. დაახლოებით ამავე შინაარსის ცნობა აქვს სქოლიასტსაც. მასთან დიოსკურების მეეტლეების ხომალდი ხეტიალისას მეოტისთან იქნა მიგდებული. ისინი დარჩნენ ამ ადგილას და ხელთ იგდეს ძალაუფლება. მათგან მიიღეს იქ მაცხოვრებლებმა სახელად ჰენიოხები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიონისიოსის ნაწარმეობის ერთ-ერთი მთავარი დისკურსი გახლავთ ამა თუ იმ ეთნოსის გენეზისი ან სხვა რეგიონებთან მათი ისტორიული კავშირები. ამ მხრივ, საინტერესოა დიონისიოსის მოსაზრება კავკასიის იბერებზე. კასპიისა და ევქსინის ზღვას შორის მდებარე ყელზე „ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რომელიც პირენედან მოვიდა აღმოსავლეთში და ჰირკანელებთან სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ“ (695-99). საერთოდ, დასავლეთ და აღმოსავლეთ იბერთა შორის ისტორიული კავშირები ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი გახლავთ ანტიკური ავტორებისთვის. იბერთა რეპრეზენტაციისას ამ კავშირების შესახებ მსჯელობა გამოკვეთილი topos-ის სახეს იღებს[27].

---

[24] ბერძნულ ტექსტშია ἀλήμονος Αἰητίνης, ანუ ხანის თარგმანში გამოკვეთილია მედეას ეპითეტი ἀλήμων – მოხეტიალე.

[25] მიდიელების მედეასგან სახელდების დიონისიოსის მიერ გადმოცემული ვარიანტი, საზოგადოდ, მიდიელების სახელწოდების შესახებ ყველაზე ძველ ვერსიას წარმოადგენს. იგი მიჰყვება ჰეროდოტოსს (Hdt. VII, 621). ბერძნულ წყაროებში უფრო ხშირია მიდიელების მედოსისგან – ეგევსისა და მედეას ვაჟისგან მომდინარეობის ვერსია.

[26] ჰენიოხთა და აქეელების შესახებ იხ. Asheri, 1998.

[27] იხ. სტატიები „იბერია“ და „იბერიელები“ (გორდეზიანი, 2016: 212-221; 221-222).

ჩერდება დიონისიოსი კოლხთა გენეზისის საკითხზეც. 688 ტაეპში იგი გვამცნობს, რომ კოლხები ეგვიპტიდან არიან მოსულნი. საინტერესოა კოლხთა წარმომავლობასთან დაკავშირებით ევსტათის კომენტარი, რომელიც მას 76-ე სტროფის განმარტებად მოჰყავს. 76 სტ-ში დიონისიოსი მოიხსენიებს ლიგურების მარილიან (ზღვის) წყალს[28] და აგრძელებს, „იქ ხმელეთზე ცხოვრობენ იტალიელთა ვაჟიშვილნი – ავსონები“. ლიგურების ზღვას ევსტათი შემდეგ კომენტარს ურთავს: „უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი კოლხი ლიგიელი გამოსულები არიან ევროპელთაგან. ამას ცხადყოფს ლიკოფრონი, რომელიც მოგვითხრობს კოლხებში ლიგისტური ქალაქის კჳტაიას შესახებ“ (Eust., *ad Dion. Per.*, 76). „Ἰστέον δ’ ὅτι ἐοίκασι καὶ Κολχικοί τινες Λίγυες εἶναι ἄποκοι τῶν Εὐρυπαίων, καὶ δηλοῖ ὁ Λυκόφρων, ἱστορῶν ἐν τοῖς Κόλχοις Κύταιαν Λιγυστικὴν πόλιν“. შესაბამისად, მისი ვერსიის თანახმად კოლხები ევროპელთაგან არიან გამოსული ანუ ევროპელი კოლონისტები არიან.

ევქსინის პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის დიონისიოსი ასახელებს კერკეტებს, ტორეტებს, აქეელებს (681). საინტერესოა მისი მოსაზრება აქეელთა წარმომავლობის თაობაზე. „ისინი ნოტოსისა და ზეფიროსის ქროლვამ ოდესღაც გამოსდევნა ქსანთოსიდან და იდას სიმოენტიდან ბრძოლის შემდეგ მეომარ მეფეს რომ გამოჰყვნენ“ (682-685)[29]. ანუ ისინი არიან მოსულნი საბერძნეთიდან[30]. გასარკვევია, თუ ვინ არის ეს მეომარი – Ἀρητιάδῃ მეფე. 685 სტ-ზე სქოლიასტის შენიშვნით, ეს უნდა იყოს აგამემნონი, რომელიც არესის ჩამომავალია. იმოწმებს ის ასევე ფერეკიდესს. ფერეკიდესის მიხედვით, ასპლედონიელები ქარიშხლის მიერ მიმოფანტულები იალმენოსთან ერთად ასახლებენ ამ ადგილებს. მოყვანილია სხვა ცნობაც, რომელიც გვეუბნება, რომ მირმიდონელები, ტროადან წამოსულები, აქილევსთან ერთად დასახლებულან აქ. ევსტათი თესალონიკელი ჩამოთვლის რა ამ მოსაზრებებს, უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს ფერეკიდესის ვარიანტს, რომ ისინი (ეს აქეელები) მოჰყვნენ იალმენოსს, არესის ძეს, ასპლედონიელების მეფეს. ხოლო ისინი იყვნენ ორქომენელები. ამასთან ევსტათი ამატებს სტრაბონის ცნობასაც, რომლის თანახმად არგონავტების კოლხეთში მოსვლის შემდეგ ფთიელმა აქეელებმა დააარსეს აზიაში ფთია. დაბოლოს, ევსტათი კიდევ ერთ მოსაზრებას გვამცნობს. ზოგიერთის აზრით, წერს იგი, „არეტიადეს“ ქვეშ მოიაზრება პომპეუსი, რომელსაც მოკავშირედ ჰყავდა სკვითები და ეს აქეელები და რომელიც სამოქალაქო ომს აწარმოებდა კეისართან (Eust., *ad Dion. Per.*, 680).

ე.წ. პონტოელ ტომთა შორის, რომლებიც ჯგუფურად ცხოვრობდნენ ევქსინის სანაპიროზე კოლხების დასავლეთით, დიონისიოსი მოიხსენიებს ბიძერებს, ბექირებს, მაკრონებს, ფილირებს, მათ, ვისაც ხის მოსინები აქვთ, ტიბარენებსა და ხალიბებს (762 შმდგ.). საინტერესოა, რომ აქ მოსინიკებს ტომობრივითი სახელწოდებით კი არ ახსენებს, არამედ მათი საცხოვრისის – მოსინების სახელით, რაც მათი diaita-ს – მატერიალური კულტურის მარკერია. ტიბარენები წარმოდგენილია როგორც ცხვრით მდიდარი ხალხი, აქაც აქცენტირება მათ მატერიალურ კულტურაზე ხდება. ყველაზე მეტს ის ხალიბების შესახებ გვატყობინებს (768-771). „ისინი დგანან მძიმედჟღერად გრდემლებთან და არასოდეს ისვენებენ ჯაფისა და საშინელი გასაჭირისგან“. მათი ამგვარი დახასიათება ხალიბთა ეთნიკურ მახასიათებელს – ethea-ს გვამცნობს – ისინი არიან მშრომელი, დაუსვენებელი ხალხი და ამასთან წარმოგვიდგენს მათ საქმიანობას – ლითონის დამუშავებას, რომელიც ცნობილი ტოპოსია

[28] Λυγυστίας ἅλμη. ლაითფუტი წერს, რომ ეს გახლავთ სტრაბონის λυγυστικὸν πέλαγος-ის პოეტური ვერსია (Lightfoot, 2014: 281).

[29] იხ. სტატია „აქეელები“ (გორდეზიანი, 2014: 180-81). ასევე ჩოთალიშვილი, 2025.

[30] ქსანთოსის, სიმოენტისა და იდას მთის მოხმობით დიონისიოსი პონტოს აქეელებს ტროას მითოსურ ციკლს უკავშირებს.

ხალიბთა ქცევის თაობაზე. თხზულებაში ასევე გამახვილებულია ყურადღება მათ საცხოვრებელ გარემოზე: ისინი „ცხოვრობენ უხეშსა და მკაცრ მიწა-წყალზე“. საყურადღებოა მაკრონების შესახებ ევსტათის კომენტარი. კერძოდ, ევსტათის მიხედვით, ბერძნები მაკრონებს (მის დროს ანუ XII საუკუნეში, შენიშვნა ჩვენია ქ.ნ.) სანებს უწოდებენ. უმეცართა – ἰδιωτικώτερον ენაზე კი მათ ჭანები (Τζάνους) ჰქვიათ. ... ისინი, ვინც მდაბიოდ მეტყველებს – ἰδιωτεύοντες სანების ქვეყანას ჭანიკეს უწოდებენ“ (Eust., *ad Dion. Per.*, 765-766).

როგორც ვხედავთ, ოპოზიცია ბერძენიxბარბაროსი ევსტათისთან ეთნოსის მეტყველების შეფასებაზეც ვრცელდება და საერთოდაც ეთნოსის განვითარების დონის წარმოჩენაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. თ. ყაუხჩიშვილის შენიშვნით, სამხრეთ პონტოსპირეთის ამ ტომებს დიონისიოსი და მისი კომენტატორები სკვითების ტომებს უწოდებენ, რაც სხვა ბერძენ ავტორების შემთხვევაშიც ხდება. თ. ყაუხჩიშვილი ამის ორგვარ ახსნას გვთავაზობს. ერთის მიხედვით, „სკვითი“ ბერძენისთვის ბარბაროსის ე.ი. არაბერძენის სინონიმია. მეორე მხრივ, ქსენოფონთან გვხვდება ტომი „სკვითინები“, რომლებიც მეცნიერთა ნაწილს ქართული სახელი „შკვითიდან“ წარმოებულად მიაჩნია. ეს სკვითინები კი ივარაუდებიან იმ ტერიტორიის ნაწილზე, სადაც დიონისიოსის მიერ სახელდებული სკვითური პონტოს ტომები არიან, შესაბამისად, ამ მკვლევართა მიხედვით, სამხრეთ პონტოსპირეთის ტომების საზოგადო სახელი სკვითინებისგან არის წარმომდგარი (ყაუხჩიშვილი, 1976: 93).

დაბოლოს, შევჩერდებით კამარიტების ეთნოსზე, რომელსაც დიონისიოსი იბერიელთა შემდეგ აღმოსავლეთისკენ, კასპიის ზღვისკენ მოსახლედ ასახელებს[31]. საინტერესოა, რომ ავტორი არ გვამცნობს არც მათ წარმომავლობას და არც მათ კავშირებს სხვა რეგიონებთან. ის კამარიტებს ღმერთ დიონისესთან კავშირში მოიხსენიებს[32]. კერძოდ, მათ ოდესღაც გულითადად მიუღიათ ინდოეთიდან დაბრუნებული ბაკქუსი, რის გამოც ამ ღმერთმა შეიყვარა ეს ხალხი და მათი ცხოვრების წესი (700 შმდგ.). ამ ხალხის ამგვარი რეპრეზენტირება, ღმერთ დიონისესთან დაკავშირება და ღმერთის მიერ მათი შეყვარება დიონისეს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელთან – ღვინოსთან და, შესაბამისად, მეღვინეობასთან ამ ხალხის კავშირზე უნდა მიუთითებდეს.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელის, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელისა და დიონისიოს პერიეგეტესის თხზულებებში ქართველური ეთნოსების, როგორც ე.წ. „სხვის“ რეპრეზენტაციის შესწავლამ იმაგოლოგიური პერსპექტივიდან გვიჩვენა:

I. იქნება ამ ავტორთა მიზანი ეთნიკური ტერიტორიებისა და ქალაქების კატალოგიზაცია, გეოგრაფიულ თემებზე რიტორიკულად გაწყობილი დიდაქტიკური პოემის შექმნა თუ პოპულარული გეოგრაფიული კომპენდიუმის დაწერა, ისინი ე.წ. „სხვა ხალხის“ რეპრეზენტაციისას უმეტესწილად შემდეგ დისკურსებს წარმოგვიდგენენ: ა) ამ ხალხების გეოგრაფიული ერთეულების წარმომავლობის მითოსურ რეალიებთან კავშირს, ეს ზოგჯერ დაარსების მითების მეშვეობით ხდება; ბ) ეთნოსთა გენეზისს თუ მათ კავშირს სხვადასხვა

[31] იხ. სტატია „კამარიტები“, გარდაფხაძე, 2018: 240. დიონისიოსის კომენტარების მიხედვით, ამ ეთნოსის სახელი წარმოდგება მრგვალი ნავების – კამარების სახელწოდებისგან. ევსტათი დიონისიოსის ცნობებს უმატებს სტრაბონის აღწერილობას (Str. XI, 2, 12), რომლებიც ეხება ჰენიოხებს, ძიგებს და აქეელებს, რადგან ისინი იყენებდნენ კამარებს (ყაუხჩიშვილი, 1967: 153).

[32] კამარიტები ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულნი არიან მხოლოდ დიონისიოსისა და მასზე დამოკიდებული ავტორების მიერ, როგორიცაა მაგ., ამიანუს მარცელინუსი (Amm. Marc. 22.8.24) (Lightfoot, 2012: 418).

რეგიონებთან. ცალკეულ შემთხვევებში აქაც მიმართავენ ეთნოგენეზის მითებს; გ) მითოლოგიურ წიაღსვლებს, რომლებიც სხვადასხვა გენეზისის მითოსური ფიგურების სექსუალური კავშირის შედეგად წარმოშობილი გმირის შესახებ მოგვითხრობენ, გმირისა, რომელიც ამა თუ იმ ხალხის მამამთავარი – ე.წ. ეპონიმი გმირი ხდება; დ) ეთნოსთა კულტურის მახასიათებლებს – მათი მატერიალური კულტურის, ეთნიკური ნიშნების თუ კანონების/ადათ-წესების მეშვეობით. ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს დისკურსები ამ ავტორებთან სხვადასხვა მასშტაბითა და განსხვავებული აქცენტებით არის მოცემული.

II. განსხვავებული მასშტაბისაა ამ ავტორებთან ასევე ქართველური ეთნოსის, როგორც „სხვის“ რეპრეზენტირება.

ა) პერიპლუსის ჟანრის სათავეებთან მდგომი ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, რომელიც მიზნად ისახავს სანაპირო ზოლთა ეთნიკური ტერიტორიების კატალოგიზირებას, ერთ-ერთი ძირითადი ავტორია საქართველოს ზღვისპირეთის უძველესი ტომების გეოგრაფიისთვის, თუმცა ის ნაკლებად არის დაინტერესებული ქართველური ეთნოსები ე.წ. „სხვის“ რეპრეზენტაციის დისკურსში წარმოგვიდგინოს (პრინციპში, ამ დისკურსებს სხვა ეთნოსთა წარმოდგენისასაც იგი მხოლოდ დროდადრო მიმართავს). ამა თუ იმ ქართველური ეთნოსის ჩამოთვლისას, მათ ტერიტორიებზე არსებული ქალაქებს ფსევდო-სკილაქსი ყოველთვის განსაზღვრავს ელინურ თუ ბარბაროსულ ქალაქებად. ეს არსებითი უნდა ყოფილიყო გეოგრაფისთვის ელინურ ცივილიზაციასთან ქართველური ეთნოსების სიახლოვის თუ სიშორის სურათის შესაქმნელად. მხოლოდ ერთგან, კოლხების შემთხვევაში უკავშირებს ის გეოგრაფიას მითოლოგიას, როცა კოლხთა დიდი ბარბაროსული ქალაქიდან მედეას წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს, რაც ასევე ამ სამყაროს ელინურ ცივილიზაციასთან კავშირზე ამახვილებს ყურადღებას.

ბ) ფსევდო-სკიმნოს ქიოსელის „პერიეგესისი“, გეოგრაფიის პოპულარული კომპენდიუმი ე.წ. „სხვის“ რეპრეზენტაციის დისკურსების შედარებით მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართველური ტომების წარმოდგენისას (იგი სულ სამ ტომს – მოსინიკებს, ხალიბებს და ტიბარენებს გვაცნობს) მას შემოაქვს მათი კულტურის მახასიათებლები – მატერიალური კულტურის, ეთნიკური თვისებების და ადათ-წესების მარკერები. საგულისხმოა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი ეს მარკერები ამ ხალხების სტერეოტიპული მახასიათებლებია, ანუ topos-ებია, რომლებიც ამ ეთნოსებთან მიმართებით უხვად აქვთ გამოყენებული ანტიკურ ავტორებს.

გ) დიონისიოს პერიეგეტესი (ასევე მისი სქოლიოები და ევსტათი თესალონიკელის კომენტარები) ამ ავტორებთან შედარებით გაცილებით მასშტაბურია ქართველური ეთნოსების, როგორც „სხვის“, რეპრეზენტირების თვალსაზრისით (ისევე, როგორც სხვა ხალხების შემთხვევაში). იგი და მისი კომენტატორები წარმოგვიდგენენ: 1. ქართველურ სამყაროსთან მიმართებაში მყოფი მითოლოგიური ფიგურების კავშირს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ტოპონიმთან თუ ეთნოსთან (აფსირტიდების კუნძულების, მიდიელთა ეთნოსის, ჰენიოხთა ტომის სახელდების კავშირი არგონავტების ციკლთან). 2. ქართველური ეთნოსების გენეზისს თუ სხვა რეგიონებთან მათ ისტორიულ კავშირებს. ასე მაგალითად, იბერების და კოლხთა წარმომავლობის მისეული თეზა ამ ხალხების გენეზისის სტერეოტიპული თეზაა. თუმცა იგივე არ ითქმის ვერსიაზე კოლხთა ევროპიდან მომდინარეობის შესახებ (ევსტათის კომენტარი), რომელიც ბერძნულ წყაროებში განცალკევებით დგას. გავრცელებული დისკურსია აქეელების საბერძნეთიდან მოსვლის ნარატივი. ევსტათისა და მისი კომენტარების ვერსიებით, აქეელების კოლონიზაცია ტროას ციკლს უნდა უკავშირდებოდეს. 3. თუმცა დიონისიოსი, ისევე როგორც ზემოთ განხილული

ავტორები, ზოგადად, ნაკლებად არის დაინტერესებული ეთნოსთა კულტურის ასპექტებით, ქართველური ეთნოსების რეპრეზენტირებისას (მოსინიკების, ტიბარენების, ხალიბების შემთხვევაში) იგი მოკლედ, მაგრამ მაინც წარმოგვიდგენს მათი მატერიალური კულტურის, ადათ-წესების თუ ეთნიკურ მახასიათებლებს.

დაბოლოს, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის, ფსევდო-სკიმნოს ქიოსელის და დიონისიოს პერიეგეტესის ქართველურ ეთნოსთა, როგორც „სხვის", რეპრეზენტაციები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ მათი თვალთახედვით, ქართველური სამყარო მჭიდრო მიმართებაშია ელინურ ცივილიზაციასთან. მიუხედავად იმისა, თუ რა მასშტაბით და როგორი აქცენტებითაა მათთან წარმოდგენილი ამგვარი რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი დისკურსები ან რამდენად ნოვატორული თუ სტერეოტიპული არის მათთან ქართველურ ეთნოსთა წარმოსახვა, ამ მოსაზრებას ცხადყოფს დასახელებულ ავტორთა მიერ ქართული ტოპონიმიკისა თუ ქართველური ეთნოსების გენეზისის დაკავშირება ელინურ მოთოლოგიასთან, უპირველესად კი, არგონავტების ციკლთან. ამას ასევე წარმოაჩენს გეოგრაფების ჰიპოთეზები ქართველური ეთნოსების ევროპის რეგიონებიდან მომდინარეობის შესახებ, ანდა ქართველური ხალხებით დასახლებულ ტერიტორიებზე „ელინური ქალაქების" მოხსენიება.

გამოყენებული ლიტერატურა:

გარდაფხაძე, ქ. (2018). კამარიტები. *Caucasus Antiquus*. III, თბ.

გორდეზიანი, რ. (2014). აქეელები. *Caucasus Antiquus*. II, 1, თბ.

გორდეზიანი, რ. (2016). იბერია. *Caucasus Antiquus*. II, 2, თბ.

გორდეზიანი, რ. (2016). იბერიელები. *Caucasus Antiquus*. II, 2, თბ.

გორდეზიანი, რ. (2021). ჰენიოხები. *Caucasus Antiquus*. IV, 2, თბ.

გორდეზიანი, რ. უგულავა, გ. (2020). მოსინიკები. *Caucasus Antiquus*. IV, 1, თბ.

ნადარეიშვილი, ქ. (2019). ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური ორიენტაციისა და როლის პრობლემატიკა რომაელ მწერალთა რეპრეზენტაციებში. *ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*, 5, გვ. 137-170.

ნადარეიშვილი, ქ. (2023). ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლი ე.წ. მითრიდატული ომების კონტექსტში ბერძენი მწერლების (მემნონი, აპიანოსი, დიო კასიოსი, პლუტარქოსი, სტრაბონი) მიხედვით. *ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*, 9, გვ. 77-93.

ყაუხჩიშვილი, თ. (1967). *ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. I. თბილისი.

ყაუხჩიშვილი, თ. (1976). *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*. თბილისი.

ჩოთალიშვილი, ლ. (2025). პონტოსპირეთის Ἀχαιοί: ანტიკური წყაროები და ონომასტიკური პარალელები. *ისტორია, არქოლოგია, ეთნოლოგია*, XIV, გვ. 565-75. ონლაინ ხელმისაწვდომია: http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/788/713

ხინთიბიძე, ზ. (2016). დიონისიოს პერიეგეტესი. *Caucasus Antiquus*. II, 2, თბ.

Asheri, D. (1998). The Achaeans and the Heniochi: Reflections on the Origins and History of a Greek Rhetorical Topos. In G.R. Tsetskhladze (Ed.),*The Greek Colonisation of the Black Sea Area: Historical Interpretation of Archaeology* (pp. 265-85).

Caucasus Antiquus. ანტიკური კავკასია, I (2022). გორდეზიანი, რ., დანელია, მ., უგულავა, გ. (რედ.). თბილისი.

Clarke, K. (1999). *Between Geography and History: Hellenistic Constructions of the Roman World.* Oxford: Clarendon Press.

Flensted-Jensen, P. Hansen, M. H. (1996). Pseudo-Skylax' Use of the Term *Polis.* In M. Hansen, K. Raaflau (Eds.), *More Studies in the Ancient Greek "Polis"* (pp. 137-169). Stuttgart: Franz Steiner Verlag.

Gordeziani, R. (2010-2011). Greek Factor in the Formation of the Opposition Europe//Asia. *Phasis*. 13-14, pp. 251-258.

Kacharava, D. (2005). *Polis hellenis* in the Black Sea area. *Collection de l'Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité*. 979 (1), pp. 9-31.

Khan, Y.Z.N. (2024). Dionisios Periegetes. In G. Shipley and Contributors (Eds.), *Geographers of the Ancient World: Selected Texts in Translation*, vol. 2 (pp. 760-808). Cambridge University Press.

Lightfoot, J. (2020). Not Enduring the Wanderings of Odysseus": Poetry, Prose, and Patronage in Pseudo-Scymnus's *Periodos to Nicomedes*. *TAPA*. 150 (2), pp. 379-413. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/27219987

Lightfoot. J. (2014). *Dionysius Periegetes: Description of the Known World. With Introduction, Text, Translation, and Commentary*. Oxford: Oxford University Press.

Mauro, Ch. M. (2022). The *Periplus* of Pseudo-Skylax and its Relationship with Earlier Nautical Knowledge. *The Mariner's Mirror*. 108 (1), pp. 6-30. ონლაინ ხელმისაწვდომია https://doi.org/10.1080/00253359.2022.2009241

Nippel, W. (2002). The Construction of the 'Other'. In T. Harrison (Ed.), *Greeks and Barbarians* (pp. 278-310). New York: Routledge.

Redfield, J. (2002). Herodotus the Tourist. In T. Harrison (Ed.), *Greeks and Barbarians* (pp. 24-50). New York: Routledge.

Shipley, G. (2011). *Pseudo-Skylax's Periplous, The Circumnavingation of the Inhabited World*. Text, Translation and Commentary by G. Shipley. Bristol: Phoenix Press.

Shipley, G. (2012). Pseudo-Skylax and the Natural Philosophers. *The Journal of Hellenic Studies*, 132, pp. 121-138.

Shipley, G. (2024). The *Nikomedean Periodos* ['Pseudo-Skymnos']. In G. Shipley and Contributors (Eds.), *Geographers of the Ancient World: Selected Texts in Translation*, vol. 1 (pp. 466-501). Cambridge University Press.

Илюшечкина, Е.В. (2006). *Дионисий Александрийский (Периэгет). 'Описание ойкумены'*. Перевод с древнегреческого и комментарии Е.В. Илюшечкиной. *Вестник древней истории*, 1, с. 214-231; *Вестник древней истории*, 2, с. 234-251.

Илюшечкина, Е.В. (2005). *Дионисий Александрийский (Периэгет). 'Описание ойкумены'*. Вступительная статья, перевод с древнегреческого и комментарии Е.В. Илюшечкиной. *Вестник древней истории*, 4, с. 214-231.

References

Gardapkhadze, K. (2018). K'amarit'ebi. *Caucasus Antiquus*. III, tb. [Gardapkhadze, K. (2018). Camarites. *Caucasus Antiquus*. III, Tb.]

Gordeziani, R. (2014). Akeelebi. *Caucasus Antiquus*. II, 1, tb. [Gordeziani, R. (2014). Achaians. *Caucasus Antiquus*. II, 1, Tb.].

Gordeziani, R. (2016). Iberia. *Caucasus Antiquus*. II, 2, tb. [Gordeziani, R. (2016). Iberia. *Caucasus Antiquus*. II, 2, Tb.].

Gordeziani, R. (2016). Iberielebi. *Caucasus Antiquus*. II, 2, tb. [Gordeziani, R. (2016). Iberians. *Caucasus Antiquus*. II, 2, Tb.].

Gordeziani, R. (2021). Heniokhebi. *Caucasus Antiquus*. IV, 2, tb. [Gordeziani, R. (2021). Heniochi. *Caucasus Antiquus*. IV, 2, Tb.]

Gordeziani, R. Ugulava, G. (2020). Mosinik'ebi. *Caucasus Antiquus*. IV, 1, tb. [Gordeziani, R. Ugulava, G. (2020). Mosinics [Mossynoecians]. *Caucasus Antiquus*. IV, 1, Tb.]

Nadareishvili, K. (2019). Kartveluri etnosebis geop'olitik'uri orient'atsiis da rolis p'roblemat'ika romael mts'eralta rep'rezent'atsiebshi. Logosi, ts'elits'deuli elinologiasa da latinist'ik'ashi, 5, gv. 137-170. [Nadareishvili, K. (2019). The Geopolitical Orientation and the Role of the Kartvelian Ethnoses in the Roman Representations. *Logos. The Annual of Greek and Roman Studies*, 5, pp. 137-170].

Nadareishvili, K. (2023). Kartveluri etnosebis geop'olitik'uri roli e.ts'. mitridat'uli omebis k'ont'ekst'shi berdzeni mts'erlebis (memnoni, ap'ianosi, dio kasiosi, p'lut'arkosi, st'raboni) mikhedvit. Logosi, ts'elits'deuli elinologiasa da latinist'ik'ashi, 9, gv. 77-93. [Nadareishvili, K. (2023). The Geopolitical Role of the Kartvelian People in the Context of the Mithridatic Wars by the Greek Authors (Memnon, Appian, Dio Cassius, Plutarch, Strabo). *Logos. The Annual of Greek and Roman Studies*, 9, pp. 77-93]

Kauchkhishvili, T. (1967). Berdzeni mts'erlebis tsnobebi sakartvelos shesakheb, t'. I. Tbilisi. [Kauchkhishvili, T. (1967). Reports of Greek Authors on Georgia, vol. I. Tbilisi].

Kauchkhishvili, T. (1976). Sakartvelos ist'oriis dzveli berdznuli ts'q'aroebi. Tbilisi. [Kauchkhishvili, T. (1976). Ancient Greek Sources on the History of Georgia. Tbilisi].

Chotalishvili, L. (2025). P'ont'osp'iretis Ἀχαιοί: ant'ik'uri ts'q'aroebi da onomast'ik'uri p'aralelebi. Ist'oria, arkeologia, etnologia, XIV, gv. 565-75. [Chotalishvili, L. (2025). Ἀχαιοί of Pontus: Ancient Sources and Onomastic Parallels. History, Archaeology, Ethnology, XIV, pp. 565-75. http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/788/713].

Khintibidze, Z. (2016). Dionisios p'erieget'esi. *Caucasus Antiquus*. II,2, tb. [Khintibidze, Z. (2016). Dionysios Periegetes. *Caucasus Antiquus*. II,2, Tb.].

Asheri, D. (1998). The Achaeans and the Heniochi: Reflections on the Origins and History of a Greek Rhetorical Topos. In G.R. Tsetskhladze (Ed.),*The Greek Colonisation of the Black Sea Area: Historical Interpretation of Archaeology* (pp. 265-85).

Caucasus Antiquus. Ant'ikuri K'avk'asia, I (2022). Gordeziani, r., danelia, m., ugulava, g. (red.). tbilisi [*Caucasus Antiquus.* I (2022). Gordeziani, R., Danelia, M., Ugulava, G. (Eds.). Tbilisi].

Clarke, K. (1999). *Between Geography and History: Hellenistic Constructions of the Roman World.* Oxford: Clarendon Press.

Flensted-Jensen, P. Hansen, M. H. (1996). *Pseudo-Skylax' Use of the Term Polis.* In M. Hansen, K. Raaflau (Eds.), *More Studies in the Ancient Greek "Polis"* (pp. 137-169). Stuttgart: Franz Steiner Verlag.

Gordeziani, R. (2010-2011). Greek Factor in the Formation of the Opposition Europe//Asia. *Phasis*. 13-14, pp. 251-258.

Kacharava, D. (2005). *Polis hellenis* in the Black Sea area. *Collection de l'Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité*. 979 (1), pp. 9-31.

Khan, Y.Z.N. (2024). Dionisios Periegetes. In G. Shipley and Contributors (Eds.), *Geographers of the Ancient World: Selected Texts in Translation*, vol. 2 (pp. 760-808). Cambridge University Press.

Lightfoot, J. (2020). Not Enduring the Wanderings of Odysseus": Poetry, Prose, and Patronage in Pseudo-Scymnus's *Periodos to Nicomedes*. *TAPA*. 150 (2), pp. 379-413. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/27219987

Lightfoot. J. (2014). *Dionysius Periegetes: Description of the Known World*. With Introduction, Text, Translation, and Commentary. Oxford: Oxford University Press.

Mauro, Ch. M. (2022). The *Periplus* of Pseudo-Skylax and its Relationship with Earlier Nautical Knowledge. *The Mariner's Mirror*. 108 (1), pp. 6-30. ონლაინ ხელმისაწვდომია https://doi.org/10.1080/00253359.2022.2009241

Nippel, W. (2002). The Construction of the 'Other'. In T. Harrison (Ed.), *Greeks and Barbarians* (pp. 278-310). New York: Routledge.

Redfield, J. (2002). Herodotus the Tourist. In T. Harrison (Ed.), *Greeks and Barbarians* (pp. 24-50). New York: Routledge.

Shipley, G. (2011). *Pseudo-Skylax's Periplous, The Circumnavingation of the Inhabited World*. Text, Translation and Commentary by G. Shipley. Bristol: Phoenix Press.

Shipley, G. (2012). Pseudo-Skylax and the Natural Philosophers. *The Journal of Hellenic Studies*, 132, pp. 121-138.

Shipley, G. (2024). The *Nikomedean Periodos* ['Pseudo-Skymnos']. In G. Shipley and Contributors (Eds.), *Geographers of the Ancient World: Selected Texts in Translation*, vol. 1 (pp. 466-501). Cambridge University Press.

Iljushechkina, E.V. (2006). *Dionisij Aleksandrijskij (Perijeget). 'Opisanie ojkumeny'*. Perevod s drevnegrecheskogo i kommentarii E.V. Iljushechkinoj. Vestnik drevnej istorii, 1, s. 214-231; Vestnik drevnej istorii, 2, s. 234-251 [Ilyushchenkina, E.V. (2006). *Dionysius of Alexandria (Periegetes).* '*Description of the Oikumene'*. Translation from Ancient Greek, and commentary by E.V. Ilyushchenkina. *Journal of Ancient History*, 1, pp. 214-231; *Journal of Ancient History*, 2, pp. 234-251.].

Iljushechkina, E.V. (2005). *Dionisij Aleksandrijskij (Perijeget). 'Opisanie ojkumeny'*. Vstupitel'naja stat'ja, perevod s drevnegrecheskogo i kommentarii E.V. Iljushechkinoj. Vestnik drevnej istorii, 4, s. 214-231 [Ilyushchenkina, E.V. (2005). *Dionysius of Alexandria (Periegetes).* '*Description of the Oikumene'*. Introductory article, translation from Ancient Greek, and commentary by E.V. Ilyushchenkina. *Journal of Ancient History*, 4, pp. 214-231].